



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა № 326

23 ივლისი
“ --- ” ----- 2021 წ

ქ. თბილისი

„ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, გურამიშვილის გამზირი №76-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის, სავაჭრო-საყოფაცხოვრებო, საოფისე და სხვა ფუნქციის ობიექტების მშენებლობისთვის“ ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 5 მარტის №01/194 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 14 ივლისის №21.974.1095 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას „ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, გურამიშვილის გამზირი №76-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის, სავაჭრო-საყოფაცხოვრებო, საოფისე და სხვა ფუნქციის ობიექტების მშენებლობისთვის“ ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 5 მარტის №01/194 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსოფიციალურ ვებ - გვერდზე www.ms.gov.ge რეგისტრირებული №01210982836-67 (№01211462-67; №01211584-67; №012116397-67; №01211753555-67; №01211891947-67) განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად;


2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა




განკარგულება - N 21.974.1095
14 / ივლისი / 2021 წ.

„ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, გურამიშვილის გამზირი N76-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის, სავაჭრო-საყოფაცხოვრებო, საოფისე და სხვა ფუნქციის ობიექტების მშენებლობისთვის“ ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 5 მარტის N01/194 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის მოწონების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 8 აპრილს N01210982836-67 (N01211462-67; N01211584-67; N012116397-67; N01211753555-67; N01211891947-67) განცხადებით მიმართა აკაკი შუბითიძემ (პ/ნ 38001004523) და მოითხოვა „ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, გურამიშვილის გამზირი N76-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის, სავაჭრო-საყოფაცხოვრებო, საოფისე და სხვა ფუნქციის ობიექტების მშენებლობისთვის“ ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 5 მარტის N01/194 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცება.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, გურამიშვილის გამზირი N76-ის მიმდებარედ, შეშელიძის ქუჩისა და ხიდის მიმდებარედ (ნაკვეთი N26/069; N26/36) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.11.04.026.137; N01.11.04.026.069; N01.11.04.026.141; N01.11.04.026.136), ჯამური ფართობი: 7312 კვ. მ.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული



ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) და მცირედ ნაწილზე, სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1).

„ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, გურამიშვილის გამზირი N76-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის, სავაჭრო-საყოფაცხოვრებო, საოფისე და სხვა ფუნქციის ობიექტების დასაპროექტებლად“ ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ გაცემულ 2007 წლის 9 ივლისის N2924 ქალაქთმშენებლობით პირობების ცვლილების პროექტის დამტკიცების . თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 6 ნოემბრის N347 განკარგულებით დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების ცვლილების პროექტი, რომლის შესაბამისადაც ხორციელდება განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილება.

წარმოდგენილი წინადადებით, კორექტირება ეხება მხოლოდ მე-3 სექტორს, კერძოდ, გაიზრდა საპროექტო არეალი და დაემატა ორი საკადასტრო ერთეული: N01.11.04.026.137 და N01.11.04.026.069. ამასთან, გზის მოწყობის მიზნით ემატება თვითმმართველის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი - N01.11.04.026.136, ზონის და გაბარიტების უცვლელად;

შესაბამისად, ცვლილება ითვალისწინებს N01.11.04.026.137; N01.11.04.026.069; N01.11.04.026.141 საკადასტრო ერთეულების გაერთიანებას, ერთ სექტორად ჩამოყალიბებას; ხოლო თვითმმართველის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი რჩება არასამშენებლო დანიშნულების დამოუკიდებელ სექტორად;

ფუნქციური გამოყენება: საცხოვრებელი 75%; კომერციული 25%.

საპროექტო არეალის ფართობი - 7191 კვ.მ. და თვითმმართველის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ფართობი: 121 კვ.მ

განაშენიანების ფართობი - 3920 კვ.მ. კ-1=0,5

განაშენიანების ინტენსივობის ფართობი - 33 400 კვ.მ. კ-2=4,6

გამწვანების კოეფიციენტი - 2906 კვ.მ. კ-3=0,4

ფუნქციური ზონირება: საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1).

ფუნქციური გამოყენება: საცხოვრებელი 75%; კომერციული 25%.

მაქსიმალური სიმაღლე: დაახლოებით 63 მ.; მაქსიმალური სართულიანობა: 17-19 სართული;

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-40 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, თუ წინამდებარე წესების ძალაში შესვლამდე დამტკიცებულ განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებაში/განაშენიანების რეგულირების გეგმაში ცვლილების შეტანა გულისხმობს დამტკიცებულ საპროექტო გადაწყვეტაში არსებითად განსხვავებული ქალაქთმშენებლობითი მახასიათებლების (განაშენიანებისა და განაშენიანების ინტენსივობის ზრდა, შენობა-ნაგებობების ფუნქციისა და განთავსების ცვლილება, სატრანსპორტო მოძრაობის ორგანიზების ცვლილება და სხვა) ცვლილებას, ცვლილებები განხორციელდეს წინამდებარე წესების შესაბამისად.

იმავე დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-4, მე-5 და 5¹ პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ჩართვა სავალდებულოა:

ა) გაუნაშენიანებელ ტერიტორიებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში;

ბ) თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორიისათვის გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით განსაზღვრული მაქსიმალური საანგარიშო ფართობი აღემატება 5000 კვ.მ-ს (გარდა ღამის კლუბის, სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოფენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების გეგმებისა).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2021 წლის 13 ივლისის N01211941326 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური თანახმაა დამტკიცდეს მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 4 ივნისის N01211551717 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცების წინააღმდეგი არ არის.

ყოვლივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, გურამიშვილის გამზირი N76-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის, სავაჭრო-საყოფაცხოვრებო, საოფისე და სხვა ფუნქციის ობიექტების მშენებლობისთვის“ ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 5 მარტის N01/194 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება დასაშვებია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ე მუხლის „ე.ბ“ ქვეპუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის, ასევე, N01210982836-67 (N01211462-67; N01211584-67; N012116397-67; N01211753555-67; N01211891947-67) განცხადებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნეს „ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, გურამიშვილის გამზირი N76-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის, სავაჭრო-საყოფაცხოვრებო, საოფისე და სხვა ფუნქციის ობიექტების მშენებლობისთვის“ ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 5 მარტის N01/194 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით მოწონებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი დასამტკიცებლად გადაეგზავნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

3.კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ზმაღაძეს.

4.ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი




ვახა კალაძე

არსებული ზონირება





საპროექტო ზონირება







ფუნდამენტი ზონირება			
კორპორაციის ანსაზღვრული ფართობი	ფართობის ფართობი	ფუნდამენტი ზონა	გამოყენების სახეობა
საქმური 3	7191 მ²	საზოგადოებრივი სამართალი ზონა 2 (სსფ)	კომერციული 25%
			სამხმარებლო 75%


არსებული ფოტოსურათები




არსებული ფოტოსურათები




საპროექტო წინადადება



ბანძის უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო




ბანძის უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო




განმელება


ბანკის მშენებლობის განხორციელება



ბანკის მშენებლობის განხორციელება



ფოტომონტაჟი





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური



წერილის ნომერი: **01211941326**

თარიღი: **13/07/2021**

პინი: **2116**

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, კომპეტენციის ფარგლებში, განიხილა მიმდინარე წლის 8 ივლისის №01211891947-67 განცხადება, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, გურამიშვილის გამზირის №76-სა და მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 01.11.04.026.136; 01.11.04.026.137; 01.11.04.026.069; 01.11.04.026.141; არსებული ფუნქციური ზონირება: საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1; დაგეგმილი ფუნქციური ზონირება: სსზ-2) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების საკითხს.

გაცნობებთ, რომ განცხადებლის მიერ წარმოდგენილ მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნაში საპროექტო ტერიტორიაზე აღწერილი **11 ძირი (ს/კ: 01.11.04.026.137 - №6; №9; ს/კ: 01.11.04.026.141 - №4-6; №25; №27-28; №44; №64; №66)** მწვანე ნარგავი განეკუთვნება ხილ-კენკროვანთა სახეობას. „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-7 მუხლის მე-5 პუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილების (შემდგომში - დადგენილება) 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხილ-კენკროვანი ნარგავების მოჭრა/გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაინტერესებული პირი გეგმავს 15 და მეტი, 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის მქონე ხილ-კენკროვანი ნარგავის მოჭრას. გამომდინარე იქიდან, რომ ზემოაღნიშნული მწვანე ნარგავები განეკუთვნება ხილ-კენკროვანთა სახეობას და რაოდენობა არ აღემატება 15 ერთეულს, მათი მოჭრა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას.

ასევე, გაცნობებთ, რომ კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და დადგენილების 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამშენებლოდ გამოსაყენებელი ტერიტორიის ზეხმელი/ხმობადი/გადაბერებული ხეებისაგან გამოთავისუფლების მიზნით, სამსახური თანახმაა №01.11.04.026.141 საკადასტრო ერთეულზე მოიჭრას **4 ძირი (№57; №59; №94 ; №96) ხმობადი და ერთი ძირი (№99) ზეხმელი** მწვანე ნარგავი (**ჯამში - 5 ერთეული**) მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

აქვე, მოსაჭრელად მოთხოვნილ, №01.11.04.026.141 საკადასტრო ერთეულზე აღწერილ №42 თუთასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ვინაიდან, ის წარმოადგენს ჯანსაღ, კარგად განვითარებულ ეგზემპლარს, ყველა გამწვანებული არეალების ფენის ქვეშ და ხელს არ უშლის პროექტის განხორციელებას, დედაქალაქში არსებული მწვანე საფარის ხარისხობრივი მდგომარეობისა და მაღალპროდუქტიული კორომების ჩამოყალიბების ხელშესაწყობად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია მისი არსებული სახით შენარჩუნება.

ამასთან გაცნობებთ, რომ განმცხადებლის მიერ გადასარგავად მოთხოვნილი №01.11.04.026.141 საკადასტრო ერთეულზე აღწერილი **ერთი ძირი (№75 D=80) ჯანსაღი ვერხვი**, საექსპერტო დასკვნის თანახმად, წარმოდგენს დიდი დიამეტრის მქონე ეგზემპლარს და გადარგვის შემდგომ მისი გახარების ალბათობა მცირეა. შესაბამისად, კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და დადგენილების 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ასევე, საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით სამსახური თანახმაა, მოიჭრას №75 ვერხვი დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

რაც შეეხება საპროექტო ტერიტორიაზე არსებული, პროექტის განხორციელებისათვის ხელისშემშლელი

ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნაში აღწერილი 30 ძირი მწვანე ნარგავის დიამეტრი არ აღემატება 25 სანტიმეტრს და ექსპერტის მიერ დადასტურებულია მათი გადარგვის შესაძლებლობა, დადგენილების 21-ე მუხლის 1¹ პუნქტისა და 21² მუხლის საფუძველზე, სამსახური თანახმაა გადაირგოს ზემოაღნიშნული **30 ძირი (ს/კ: 01.11.04.026.137 - №5; ს/კ: 01.11.04.026.141 - №7-11; №13; №18-19; №26; №29; №50-52; №55-56; №58; №61-63; №65; №67-68; №74; №85-89; №91)** მწვანე ნარგავი, მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

ამასთანავე, გაცნობებთ, რომ საპროექტო ტერიტორიაზე არსებული, საექსპერტო დასკვნაში №01.11.04.026.141 საკადასტრო ერთეულზე აღწერილი **ერთი ძირი** (№78 D=32) გადასარგავი **ამერიკული ნეკერჩხლის** დიამეტრი აღემატება 25 სანტიმეტრს. დადგენილების მე-2 მუხლის 41-ე პუნქტის თანახმად, ხე, რომლის დიამეტრი აღემატება 25 სანტიმეტრს წარმოადგენს დიდტანიან ევგემპლარს. ტექნიკური პირობების გათვალისწინებით, დიდტანიანი ხეების ბუნებრივი გარემოდან ამოღება/გადარგვა მოითხოვს ცალკეულ შემთხვევებზე დეტალური ინსტრუქციის მომზადებას მწვანე ნარგავების ფიზიკური მახასიათებლების, მდებარეობისა და სამუშაოს სირთულის მიხედვით. დადგენილების 21 მუხლის 1¹ პუნქტისა და 21¹ მუხლის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამსახური თანახმაა გადაირგოს ზემოაღნიშნული მწვანე ნარგავი მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, რისთვისაც განმცხადებელმა უნდა წარადგინოს მასზე უფლებამოსილი პირის მიერ ინდივიდუალურად შედგენილი გადარგვის ტექნიკური დოკუმენტაცია და წერილობითი დასტური იმ კომპანიიდან, რომელსაც გააჩნია შესაბამისი სპეცტექნიკა და განახორციელებს გადარგვის სამუშაოს.

№01.11.04.026.136 საკადასტრო ერთეულზე აღწერილ **4 ძირ** (№1-4) მწვანე ნარგავთან დაკავშირებით, გაცნობებთ, რომ მათი გადარგვის თაობაზე, სამსახურმა დადებითი პოზიცია დააფიქსირა მიმდინარე წლის პირველი აპრილის №18-01210911922 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

აქვე გაცნობებთ, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტის ფარგლებში, საპროექტო ტერიტორიაზე გასამწვანებლად შემოთავაზებული ხე-მცენარეების რაოდენობა (**არსებული/გადასარგავი**: 41 ძირი თუთა, 20 ძირი ამერიკული ნეკერჩხალი, 5 ძირი აკაცია, 2 ძირი კაკლის ხე, 2 ძირი ფიჭვი, 2 ძირი თხილი, 2 ძირი ხურმა, ერთი ძირი გლედინია, ერთი ძირი ხვალაო, ერთი ძირი ვერხვი, ერთი ძირი ბოკვი, ერთი ძირი ძეწნა და **საპროექტოდ დასარგავი**: 9 ძირი მსხვილფოთოლა ნეკერჩხალი, 13 ძირი იტალიური ფიჭვი, 7 ძირი ირმის რქა, 6 ძირი არყის ხე, 11 ძირი კვიდო ხის ფორმის, 6 ძირი ოსმანთუსი; **ჯამში - 131 ერთეული**) სრულად ითვისებს დადგენილი გამწვანების (გ-3) კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს (**2 590.6 მ²**).

იმის გათვალისწინებით, რომ გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავები გამოირჩევა მრავალფეროვნებით, (ხე-მცენარეების სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის №05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან) და ისინი ქ. თბილისის კლიმატისა და ლანდშაფტის შესაბამისია, სამსახური თანახმაა წარმოდგენილი სახით შეითანხმოს გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, **სამსახური თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილება.**

გამოყენებულია კვალიფიკური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო
სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტო



წერილის ნომერი: 01211551717
თარიღი: 04/06/2021
პინი: 9078

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

2021 წლის 26 მაისის N01211462-67 განცხადების პასუხად, რომელიც ეხება გურამიშვილის გამზირზე N76-ში არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე (ს/კ:01.11.04.026.141; 01.11.04.026.069; 01.11.04.026.137) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცების საკითხს, გაცნობებთ:

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა განიხილა აღნიშნული პროექტი და წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა პოზიცია დააფიქსირა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების ცვლილების დამტკიცების ეტაპზე 2020 წლის 22 სექტემბრის N01202662744-67 განცხადების პასუხად N 01202693737 წერილით.

ვინაიდან, პროექტი და სატრანსპორტო კვლევა არ ითვალისწინებს არსებით ცვლილებებს და არ იკვეთება ახალი საგულისხმო გარემოებები, სამსახურის პოზიცია რჩება უცვლელი.

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცების წინააღმდეგი.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი



ժ. ԹԻՖԼԻՍԻՑԻ, ՅԸՆՏՆԻ ՆԱԽԼԱԵՅՈՒՆ ԴՐՈՒՄ, ԵՄԿԱՅՈՒՑՈՂԸ
ԵՎՅԵ. N76 - ՅԻ Ծ.Յ. "ԸՌՑԱ 2014" - ՈՒ ԴՄԱՐՆԵԼԱԾԱՅԻ ԶԿԱԴՐԻ
ՅԻՆԸ

Տեղափոխվելու և աշխատանքի փնտրելու համար
հարմարություններ ապահովելու համար:

ახალი გონიერების რევოლუცია



Թողանք լաբորանտներին և ծախսերին
համարժեք ֆինանսական աջակցություն

[illegible]

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՄԱՐԶԻ ԱՐԴԱՐԱԴԱՐԱՆԻ ԱՊԵՏԱՐՈՒԹՅԱՆ ԿԱԶՄԵՐՈՒԹՅԱՆ ԿԵՆՏՐՈՆԻ ԱՐԴԱՐԱԴԱՐԱՆԻ ԱՊԵՏԱՐՈՒԹՅԱՆ ԿԱԶՄԵՐՈՒԹՅԱՆ ԿԵՆՏՐՈՆԻ



შპს "საქსტელკომ":

1. ნახაზზე ნიშნავი მოყვარული პირობადასახე.

ՀԱՅԴԱՅԵՍՏԱՆԻ ԼՆԴՈՆԵՐԺՆԱԿ

[illegible]

ნაგზის ბუნებრივი
განათავსებალი
აღილი. 200 და მძ
ბინაზე გათვლილი
6-10 ცალი ბუნარი
1100 ლიტრისანი,
ფართობი 24
კვადრატული მეტრი

[illegible][illegible][illegible]

შეშვლის ქ

სარეგისტრაციო





ფურცელი A - 3	თარიღი 2020 წ. გაყვანილობა N
პროექტის სახელი:	
პროექტის ნიშნები:	
პროექტის სახელი:	
7191 მ² პროექტის სახელი 3 - სართული საპროექტო სახელი საპროექტო ნიშნები	
7191 მ² პროექტის სახელი 3 - სართული საპროექტო სახელი საპროექტო ნიშნები	
7191 მ² პროექტის სახელი 3 - სართული საპროექტო სახელი საპროექტო ნიშნები	

პროექტის სახელი:	პროექტის სახელი
პროექტის სახელი:	პროექტის სახელი
პროექტის სახელი:	პროექტის სახელი
პროექტის სახელი:	პროექტის სახელი
პროექტის სახელი:	პროექტის სახელი


Գրքի թիվը՝ A - 3	Մուտքի ամսաթիվ՝ 2024 թ. 6.
	ԷՎՅՈՒՄ N

ՀԱՅԿԱՊԱՏԱԿԱՆ ԳՐԱԴԱՐԱՆ

[illegible]

[illegible]

ფოტოგრაფია



ფოტოგრაფია

